2026-2027 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ეტაპები და ვადები

წყარო: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდი: https://students.emis.ge/

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტში მობილობით სწავლის გაგრძელების მსურველთა საყურადღებოდ

ეტაპი	ვადა/თარიღი	განმარტება
I	24.08.2026-08.09.2026-ს ჩათვლით	მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია https://students.emis.ge/
II	11.09.2026-16.09.2026-ს ჩათვლით	შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტში (შემდგომში - ბნუ) საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტი, რომელმაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებული დადებითი შედეგის საფუძველზე მოიპოვა 2026-2027 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბნუ-ში მობილობით სწავლის გაგრძელების უფლება, რეგისტრაციის მიზნით უნდა გამოცხადდეს ბნუ-ში, განცხადებით (ივსება ბნუ-ში) მიმართოს ბნუ-ს რექტორს (ბნუ-ს მისამართი: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38; ოფიციალური ვებგვერდი: www.bnu.edu.ge ოფიციალური ელ.ფოსტა: info@bnu.edu.ge; სამუშაო საათები: 10:00 სთ- 18[00] სთ; (შაბათ-კვირის გარდა) საკონტ. ტელ.: 579080708; 593340265 • პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი); • 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე); • სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა წარადგინონ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი); • ბაკალავრიატი - სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი / მაგისტრატურა - არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები); • უსდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) ამონაწერი უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან; • ცნობა სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის შესახებ; • ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველის მითითება); • ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით; • საზღვაო დარგის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა №100/ა (დედანი), გაცემული უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ.
III	არაუგვიანეს 18.09.2026	მობილობით ბნუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული კომპეტენციების ბნუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენა ბნუ-ში მოქმედი (კრედიტების აღიარების) წესის შესაბამისად და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება ბნუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის თაობაზე.
		სტუდენტისთვის ზემოთ მითითებული დასკვნის გაცნობა (სამუშაო საათები: 10[00] სთ-დან 18[00] სთ-მდე).
		ბნუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის თაობაზე სტუდენტის მიერ წერილობითი განცხადებით თანხმობის/უარის დადასტურება (სამუშაო საათები: 10:00 სთ-დან 18[00] სთ-მდე).
	არაუგვიანეს 21.09.2026	მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ ბტუ-ს სამართლებრივი აქტების პროექტების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა.
IV	არაუგვიანეს 07.10.2026	ბნუ-ს მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ერთიანი აქტის (ბრძანების) გამოცემა და სტუდენტთან განათლების მომსახურების ხელშეკრულების დადება.
V		ბნუ-ს მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახვა. ბნუ-ს მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ერთიანი აქტის (ბრძანების) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის წარდგენა.

	საბაკალავრო პროგრამები	
ვაკანტური ადგილები პროგრამების მიხედვით	საზღვაო ნავიგაცია (ქართულენოვანი)	40
	გემის მექანიკა (ქართულენოვანი)	15
	ლოგისტიკა	15